572
1982

ISSN 0132-5965



572

76

1982 ივლისი № 7

ცისარტყელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ის საჭირო.

— გვითხარი, რომელია პაპას ლომი! — ასძახოდნენ მაღლა.

— ჩემით ვერ გადამიწყვეტია, წავალ ფუფალას დავეკითხები! — ჩამოსძახა პაპამ და ანდრო ძია შეტყორცნილი თოკის ბოლოს მისწვდა, — აბა, წავედი! — დაიძახა ზვინის წვეროდან, ნაბიჯი გადადგა და გაუჩინარდა.

ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს.

ანდრო ძიას მაგრა ეჭირა საბელი და ნელნელა უშვებდა ხელიდან.

— მალე ჩამოვა?

—მთვარის თეთრ სხივს ჩამოჰყვება და სადაცაა აქ გაჩნდება, — უთხრა ბავშვებს თებრო ბებომ, — წადით აბა, მეორე მხრიდან მოუარეთ ზვინს.

ბავშვები მაშინვე გაიქცნენ, ზვინს შემოუარეს და ჩრდილოეთის მხრიდან მოექცნენ, ზემოთ აიხედეს და რა დაინახეს — თეთრთმიანი პაპა მართლა ნელა მოჰყვებოდა მთვარის თეთრ სხივს. თეთრი საბელი, პაპას სომძიმით გადაჭიმული, მართლა სხივს ჰგავდა სიბნელეში.

— აი, ჩამოვედი და მოგიტანეთ კიდეც ამბავი, — თქვა მიხა პაპამ და მიწაზე დაეშვა.

იმავე წუთს სხივივით დაჭიმული თეთრი საბელი მაღლა წავიდა, სწრაფად დამოკლდა და გაქრა.

— პაპილო, რაო, რა გითხრა ფუფალამ? — ჰკითხა აჩიკომ, — ჩემზე არ გითხრა, პაპას ლომიაო?

— ჩემზე პაპილო, ჩემზე? — ერთმანეთს არ აცდიდნენ დანარჩენები.

მიხა პაპა გულიანად იცინოდა, ხელს ჰხვევდა შვილიშვილებს და სათითოდ გულში იკრავდა.

— მითხრა, როგორ არ მითხრა!

— რაო?

— ესე მითხრა ფუფალამ, რომ ერთმანეთში ვერ გამოვარჩევო, გამრჯე და გულიანი ბიჭები არიან და აბა გულს როგორ დავწყვეტავ, ყველანი მიხა პაპას ლომები არიანო.

ბიჭებმა ერთხმად შეჰყვირეს და კისერზე ჩამოეკიდნენ პაპას.

— ჯილდოებიც გამოგიგზავნათ ფუფალამ, — წყნარად უთხრა მათ პაპამ, — ბატიბუტი ეყვარებათო და აი, ეს ეკალა ტაროები გამომატანა, — თქვა და ბატიბუტის სიმინდის წვრილი ტაროები ჩამოურგა ფალავნებს.

მაღლით მთვარე დანათოდა კალოს — ბატიბუტის დიდი გუნდასავით თეთრად ქათქათებდა.



ტაგუ მეგზურიშვილი

სულ ტალახში გორაობს

დაშიკომ თქვა:
— გოჯს თავში
ჰკუა სულ არ ჰქონია!
სულ ტალახში გორაობს
და ტანს იბანს, ჰგონია.

პაპამ მითხრა

პაპამ მითხრა, ქვეყანაზე
შენზე კარგი ვინ მყავსო.
შვიდი—გუდში,
შვიდიშვიდი
გუდისგუდში მიყვარსო.

თვითონ უკრავს ტაშს

ლექსის კითხვას როცა
დაამთავრებს დაშა,
თვითონ უკრავს ტაშს და
თვითონ ყვირის ვაშას.

მიპატიჟება

ორლეიდან დაშა ბიჭს
ბატმა შემოჰყაყანა:
— ჩამო,
ასეთ სიცხეში
რა სჯობს ტანის დაბანას.

პაპის ძუძი აბურავს

დაშა,
დაშა,
დაშურას
პაპის ძუძი აბურავს.
ბიჭი ასე ყოჩაღი,
ქვეყნად ჯერ არ ნახულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურობა ოქტომბრის ქვეყანაში

საბჭოთა კავშირი—60

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეირ ჯეირ

რაფაელ არამიანი

ყველამ იცის: თვით ყველაზე ლამაზი ყვავილიც ჭკნება. ხმება ყველაზე დიდი ხეც კი. მიდიან და აღარ გვიბრუნდებიან დღეები და წლები. მაგრამ მაინც...

ერთხელ ზაფხულში ზღვის ბრჭყვიალა ფერად კენჭებს ვაგროვებდი. როცა კენჭები წყლიდან ამოვიღე და მზით გახურებულ სილაზე დავდე, კენჭები გახუნდა, განაცრისფერდა. შინ წამოვიღე და ასე ეწყო მაგიდაზე — უფერული, მკვდარი კენჭები. ბოლოს ამხანაგმა მირჩია:

— კენჭები წყალში უნდა ჩაანწყო.

ასეც მოვიქეცი. კენჭები წყლიან ჭიქაში ჩავყარე და ჰოი, საოცრებავ! თითქოს თვალები დაჭყიტეს, გამოცოცხლდნენ, გაცისკროვდნენ, აფერადდნენ.

ვუცქერდი ამ ფერად ქვებს და ვფიქრობდი, რომ სადღაც აუცილებლად უნდა არსებობდეს ყოვლისშემძლე უკვდავების წყალი, წყალი, რომელიც გააცოცხლებს, სიცოცხლეს დაუბრუნებს ყველაფერს. ვფიქრობდი, რომ გაცოცხლდება ყოველი განვლილი დღე, რომ გარდასული დღეები კენჭებია, დრო კი — ზღვა...

ასე ვფიქრობდი და მინდოდა მეყვირა: „ნახვამდის!“, ყველაფრისა და ყველასათვის გაცოცხლება და კვლავ ნახვა მესურვებია.

სათჯანო ფაციფუცი

ჩხატვარი ედუარდ ამბოკაძე

სილვა კაკუტიკიანი

1.

— მოდი, გოგო,
მომეხმარე კარინე,
სამაისო კაბა შემაკერინე.
ჰა, ხასხასა ღილები,
ჰა, ქათქათა მაქმანი,—
დაჯექი და ატრიალე
სახელური
საკერავი მანქანის...

..კარინე იმ წუთში გაქანდა,
მიუჯდა საკერავ მანქანას...

2.

-- მოდი, ბიჭო, აშოტიკა,
ფარდაგზე რომ გაშოტილხარ,—

სარეცხი მაქვს გასაწური—
ატრიალე სახელური...
— კარგი, რალა, დედიჯან,—
ბურთს დავეძებ რახანია,
რის სარეცხი, რა სარეცხი,
ხომ ხედავ, რომ არ მცალია!—

თარგმნა გივი ძნელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფხიანი დანა

რაფაელ არამიანი

მხატვარი ზაურ დეისაძე

ყოველ სახლში არის ისეთი დანა, რომელიც სხვა დანებზე უკეთ ჭრის. ის დანა დალეულია ხოლმე, ტარმორყეული. ჩვენც გვქონდა ასეთი დანა. დედა ხშირად მეუბნებოდა:

— შვილო, მომიძებნე ის დანა, თორემ ამითი კარტოფილს ვერ დავთლიო.

მამაც მეტყოდა:

— შვილო, ის დანა მომიტანე, თორემ ამით ფანქარს წვერს ვერ წავუთლიო.

ძმაც სულ იმ დანას დაეძებდა.

ძველი მჭრელი დანა სამზარეულოში ცხოვრობდა გაპრიალებულ-დასუფთავებული. სხვა დანებს კი კარადის უჯრაში ეძინათ. არც ერთს ჭრა არ ჰქონდა, მაგრამ როცა დღესასწაული დადგებოდა, წამოიჭიმებოდნენ მაგიდაზე და იყვნენ ერთ ამბავში — ვითომ, ჩვენა ვართ, რაცა ვართო! ის ჩვენი ბებერი დანა კი, ყველასაგან მივიწყებული, სამზარეულოში იყო მიგდებული.

ერთხელ დედამ მითხრა:

— მიდი, ერთი ის დანა მომიძებნეო.

სამზარეულო გადავაქოთე,

მაგრამ დანა ვერ ვიპოვნე.

— არსად არ არის, — ვუთხარი დედას.

— კარგად დაძებნე, იქნება სადმე.

მაგრამ დანა მართლაც არსად ჩანდა. გაქრა. გაქრებოდა, აბა რას იზამდა? უფხო და ბრჭყვიალა დანებს ასეთ პატივს მიაგებდნენ, მას კი სამზარეულოს არ აცილებდნენ და თანამოძმეებს მაშინ ხვდებოდა, როცა დასკრილებს, დათხუპნულებს, სამზარეულოში დასარეცხად შეიტანდნენ. ახედ-დახედავდნენ ძველ დანას და ატეხდნენ ხარხარს: „შეხეთ, რა კბილგამცვდარია, ტ ა რ ი ც როგორი მორყეული აქვსო!“ ჰოდა, დარწმუნებული ვიყავი, ჩვენმა ძველმა დანამ ვერ გაუძლო ალბათ ასეთ ყოფას, განაწყენდა და გაქრა-მეთქი. ჩემი ნაფიქრალი დედას გაკუზიარე.

— რას ამბობ? დანის გაქრობა როგორ შეიძლებაო.

ახლა დიდი ვარ და ვიცი — დანას თავისთავად გაქრობა არ შეუძლია, მაგრამ, მაინც რატომღაც ძალიან მჯერა ჩემი ბავშვობისდროინდელი ნაფიქრალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის ლექსიკონი

სამშობლო—ჰაირენიკ.
საბჭოთა კავშირი—
სოვეტაკან მიუთიუნ.
საქართველო—ვრასტან.
მშვიდობა—ხალალუთიუნ.
დედა—მაირ.
მამა—ჰაირ.

ქართველი—ვრაცი.
სომეხი—ჰაი.
მეგობარი—ბარეკამ.
სკოლა—დპროც.
მასწავლებელი—უსუციჩ.
ბავშვი—ერეხა.
პური—ჰაც.
წყალი—ჯურ.

მხედრები

სომეხ ბავშვებს უყვართ მამაცი მხედრების თამაში — ჯიგიტობანა. რა უშავს, რომ რაშების ნაცვლად შინდის ჯოხებზე არიან ამხედრებულნი. ისე სწრაფად დაქრიან, რომ თქვენი მოწონებული. დააქროლებენ თავიანთ ცხენებს წრეში შდგარი გოგონას გარშემო და გაყვირიან: „ჰოპ-ლა-ლა! ჰოპ-ლა-ლა!“ გოგონას ხელში ყელსახვევი უჭირავს, ოცნებას წაუღია და ბიჭებს ყურადღებას არ აქცევს. უცებ ეშმაკურად გაიღიმებს და ჰაერში შეაგდებს ყელსახვევს. მხედრები ყალყზე შეაყენებენ „რაშებს“ და ატყდება ძიძგილაობა — არა მე უნდა მოვიტაცო ყელსახვევი და არა მეო. ვინც იმ ყელსახვევს დაიჭერს, გამარჯვებულიც ის არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

ირინოლა

ირინა როცა ღნავის,
პირი აქვს ზუსტად ღლავის,
გამოაჯავრებს თოჯინა—
ხან ეს იტირებს, ხან ის.

ნისლები

— ჰაერში რომ დაქრიან
წეროების კისრებით,
ბაბუ, იმათ რა ჰქვია?—
— რა ჰქვია და—ნისლები.

გიგას ლექსი

ყველა ლამაზი ქალაქის
სიყვარულს გულში ვინახავ,
მაგრამ თბილისზე ლამაზი
ქალაქი ჯერ არ მინახავს.
გინდა თბილისი დაარქვი,
გინდ ქუთაისი დაარქვი,
საცა შენ ცხოვრობ, ისაა
ყველაზე კარგი ქალაქი.

გარათაშვილის ქუჩაზე

პაწაწინა აივნები
ცისფერი და ყირმიზი,
რიკულებში დაირები
ჩახატულან თილისმით.
ლურჯ სარკმლებში გახლართულა
მზე ქორბუდა ივლისის,
აი თურმე რანაირი
იყო ჩვენი თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი: ანანა მოლჩილაძე

არწივი

ბაბუ, ფრთები ჩიტს უნდა.
ერწივს რაში სჭირდება,
ოთახარის გალიიდან,
თუ ვერ გაფრინდება?

ტელეფონი

ალო, ბაბუ, ახალ წელს
რომ გინდოდა კარგი მეკვლე,
ტელეფონით დარეკვა
ვისწავლე და დაგირეკე.

მზის დაგადება

გაზაფხულის პირზე, კვირას,
ნალიაზე ყინჩად მოდგა.
კრუხ-წიწილო, ხაბარდა!
ყიყლიყოო,—დაიყვირა
და მამალმა ბიბილოდან
წითელი მზე დაბადა.

ოთხი დრო

როგორც ბგერა მოცარტის,
გაზაფხულო, მობრძანდი.
მზეო გამოსახულო,
შემობრძანდი, ზაფხულო.
გოდორ-გოდორ, გოდორა,
მობრძანდა შემოდგომა.
როგორც ოთარი აფთარი,
იღრინება ზამთარი.
ერთმანეთში ჩამტკბარი,
ერთმანეთით გამთბარი
გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი ბედია

უკეკი

ნახირი უკვე კარგა ხნისა ჩავლილი იყო, როცა პაპა მიტამ ძველი მარნიდან მოჭრილი იფანი გამოიტანა და ერთი დიდი ლოდის წინ დააგდო. მერე წისქვილში შებრუნდა, საფქვავი ხვიმერაში ჩაყარა, დოლაბი ზომაზე დააყენა და გარეთ გავიდა. მეწისქვილეობის გარდა პაპა მიტამ კოხტა ურმის გაკეთება იცოდა და სოფელში კარგი ხელოსნის სახელიც ჰქონდა დავარდნილი. იგი უფრო საძნე ურმებს აკეთებდა. მამა-პაპიდან ასე მოსდგამდა. ძილიდანვე იჯდა. ჩორკნიდა და ჩორკნიდა. ბევრი ჩორკნისაგან ხელის გულები ჰქონდა დაკოჟრილი. ერთხელ ვკითხე:

— სულ რამდენი ურემი გექნება გაკეთებული-მეთქი.

— არ დამითვლიაო, — მითხრა.

გაგონილი მქონდა, ურმის გაკეთებას დიდი ჯაფა და გულისყური სჭირდებოდა. ვიჯექი და ინტერესით ვუყურებდი მიტას პაპას, რომელიც გათლილ ძელებს მზეზე ფრთხილად ალაგებდა. გულმა ვეღარ მომითმინა და ისევ ვკითხე:

— ურმის მაგ ნაწილს რა ჰქვია-მეთქი?

— მე ხელნას ვეძახი, სხვა რას ეძახის არ ვიცი, — ცივად თქვა.

გაფაციცებით ვუყურებდი, თუ როგორ ამუშავებდა იფანს. დიდხანს ვიდექი. პაპა მიტა დარწმუნდა, რომ ასე ადვილად თავიდან ვერ მომიშორებდა.

— ეს ურმის მორგვიაო, — მიმითითა ხის ერთ პატარა მრგვალ ნაწილზე, — ზედ სოლები დგება, მერე ფერსო უკეთდება და ურმის თვალი იკვრება. იცი რა არის ფერსო ან სოლი?! — მკითხა.

— არა-მეთქი, — ვუპასუხე. მიტა პაპა დაფიქრდა.

— აქ დამიცადე, გამოვიტან და განახვებ. მიტა წამოდგა და წისქვილში შევიდა. მორკალული და ერთიც მოკლე, მაგრამ სწორი, მუხის ხისაგან გათლილი ნაჭრები გამოიტანა.

— აი, ესაა ფერსო, ეს კიდევ სოლი, — თქვა და იქვე დაუმატა — ფერსო რომ არ გაფუჭდეს, ზედ რკინის სალტე უკეთდება, — აქ მიტა პაპა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წისქვილში შებრუნდა, დოლაბს პეშვი შეუშვირა, ფქვილი თითებით მოსრისა.

— იფ, იფ, — თქვა და კრიჭას ცოტა აუწია, ალბათ უფრო წმინდად უნდოდა რომ დაფქვილიყო.

— მაშ ურმის გაკეთება გაგიზრახავს, — მკითხა, როცა წისქვილიდან გამოვიდა.

— დიახ.

— ხელობა ხომ არ გინდა წამართვა, — ხუმრობით მითხრა. შემხედა, ლოდზე ჩამოჯდა, ჯიბიდან თუთუნი ამოიღო, მერე გაზეთის ნაგლეჯი მონახა და თუთუნის გახვევა დაიწყო.

— რა არის ჩვეულება! ახლა ვიღა ახვევს თუთუნს, — თქვა და განაგრძო:

— ურემი ახლა არავის არ სჭირდება, მანქანებია. მინდვრებიდან ძნებსაც მანქანებით ეზიდებიან. შენ ქალაქელი ხარ და ქალაქელს ურმის გაკეთება რაში გჭირდება. — დაეჭვებით მკითხა.

— შვილებს ვასწავლი.

— შვილებს? — ამ სიტყვებზე მიტა პაპა ცოტა არ იყოს გამოცოცხლდა.

— მაშ შვილებს უნდა ასწავლო! — თავისთვის ჩაილაპარაკა. უცებ ხის ტოტიდან მზეწვია ძირს ჩამოფრინდა, მერე მიიხედ-მოიხედა, ალბათ იფიქრა, აქ არავინ არისო

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხტუნვა-ხტუნვით წისქვილში შევიდა, ძირს დაყრილ პურის მარცვლებს ნისკარტი დაავლო და გაფრინდა.

— მაგასაც ბარტყები ჰყავს, — თქვა პაპამ და ტყისკენ გაიხედა.

— რა იცის, რომ წისქვილია და პურის მარცვლები ყრია? — ვიკითხე. ამის თქმა და მეორე მზენვიას მოფრენა ერთი იყო. იმანაც პურის მარცვლებს დაავლო ნისკარტი და გაფრინდა.

— აგერ თუ არ იციან! — თქვა პაპა მიტამ და გაიცინა. — შიმშილმა ასწავლა! — — წამოდგა, წელში გასწორდა და გაიარგამოიარა, მერე ძველ მარანში შევიდა.

— ესეც შენი ჭალი, — უცებ მომესმა მისი ხმა და გავიხედე, ხელში ჭალი ეჭირა.

— ეგ ვიცი, რაც არის! — ვთქვი და ჭალი გამოვართვი — ხელნაზე დგება. ჭალსა და ჭალს შორის ზეწარს უკეთებენ. ზეწრის თავსა და ბოლოში კოფოს აცმევენ, — მიმართავს მიტა პაპა. — ხელნაზე კიდევ ჯოხსა ჰკიდებენ, ამ ჯოხს კონკილას ეძახიან. მიტა პაპა გაჩერდა. ურმის ჭრიალი მოგვესმა, გავიხედეთ და ორლობეში ურემი გამოჩნდა, ზედ საფქვავი იდო. ურემს მოხუცი მოუძღოდა. მიტა პაპამ იცნო და მიესალმა. იმანაც ურემი ზედ წისქვილის კარზე მოაყენა. პაპა მიტამ კოფო ახსნა, საფქვავის გადმოტვირთვაში მიეხმარა მოხუც კოლას და საფქვავი წისქვილში დააბინავა. ცარიელი ურემი რომ წავიდა, პაპა მიტამ თვალი გააყოლა, იქამდის უყურა, სანამ მზერა მიუწვდებოდა.

— კარგია ქართული ურემი, კოხტაა, — თქვა და ახლა თავისი ურმის ნაწილებს გადაავლო თვალი.

ნოდარ შამანაძე

მარანი

პაპაჩემი თავს ევლება
მიწაში ღრმად ჩაფლულ ქურებს,
მარანი სახლს ურჩევნია,
სულ მარანში დაფუსფუსებს,
ორშიმოთი იღებს ღვინოს
და ჭინჭილით აკუსკუსებს.

წისქვილში



დოლაბი ფქვავს ჩემს ხორბალს
ღირღილ-ღირღილ-ღირღილით.
მეწისქვილე მისტუმრებს
ღიმილ-ღიმილ-ღიმილით.
და შინისკენ მივდივარ
ღიღინ-ღიღინ-ღიღინით.

დილით

პაპაც ღიმილით კითხულობს,
მარტო ბებია კი არა:
— ეს ჩვენი ეზო ამ დილით
ნეტავ, ვინ დააკრიალა?!
ან მოვიდოდა ქეთინო,
ან მოვიდოდა ციალა...
ლილიზე, აბა, რაღა ვთქვათ,
შუა ძილშია ამ დილით,
მას თავის ეზოც არ ახსოვს,
ძილის გუდაა ნამდვილი.

ნეტავ...

ხეო, ხეო, ხეხელაო,
ჩიტუნები გეხვევაო,
ბევრჯერ გაწვიმს,
ბევრჯერ გათოვს,
ქარიც ბევრჯერ გეხლებაო,
მაგრამ მაინც მაგრად დგახარ,
ხეო, ხეო, ხეხელაო,
ნეტავ, მალე გავიზარდო,
მალე გავხდე შენხელაო.

წრუწუნა

წრუწუნამ დაიწრუწუნა,
მინდაო მარწყვის კუნწულა;
დედა თაგუნამ წრუწუნას
იმედი გადაუწურა:
ბაღჩაში ფისო სეირნობს
დარაჯობს მარწყვის კუნწულას,
მე როგორ გადავურჩები
მსუნაგს, ძუნწსა და წუწურაქს?
ფისუნას გახსენებაზე
გული შეუკრთა წრუწუნას:
— დედა, შენ კარგად მეყოლე,
სულ არ ვჭამ მარწყვის კუნწულას!..

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

მიხა პაპას ლომები

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

შემოდგომით, როცა მდინარისპირა სოფლის გალმა-გამოლმა ტყიანი მთები სუსხით გადაფითრდება, ხოლო მათი მწვერვალები დილდილაობით თრთვილის თეთრ არშიას გადაიკრავს, მიხა პაპას გული აუმღერდება ხოლმე, იცის, რომ ცოტა ხნით უნდა გამოიდაროს — ჩურჩხელების ზაფხული უნდა დადგეს, და სწორედ ამ დროს, რთვლის შემდეგ, ქალაქში ჩახენცილ შვილიშვილებს ერთხელ კიდევ გაახსენდებათ ხოლმე სოფელი — საშვიდნოემბრო არდადეგებზე რამდენიმე დღით ესტუმრებიან მამაპაპეულ კერას. მიხა პაპასა და თებრო ბებიას მათი ნახვა ენატრებათ და კიდევ ის უხარიათ, რომ ბავშვები ხელს წააშველებენ, სიმინდის გარჩევა-ჩაბინავებაში წაეხმარებიან.

ახლაც ასეა. მესამე დღეა საკოლმეურნეო კალოზე სიმინდს არჩევს მიხა პაპას ჯალაბი. შვილები ანდრო და თედო ხალა ტაროებით სავსე გოდრებს ლაფეტის ძარაზე ტვირთავენ და საველე საწყობისაკენ ეზიდებიან, ნაბოლარა ვაჟი ომია ორთითით ტრიალებს — ფუჩეჩის კონებს აწვდის მიხა პაპას, ზვინი მაღლა-მაღლა მიიწევს. დაბლა, მოლზე ჯარივით გაფენილან, ზეზე დგანან ბიჭების მიერ შეკრული კონები, თავის რიგს ელოდებიან, რომ ზვინზე დაიკავონ ადგილი, დგანან და შემოდგომის მზეზე შრებიან, ფიცხდებიან.

— შვილო ანდრო, სიმინდს რომ ჩააბარებ, ბარემ ეგ ბიჭებიც აწონე, საჭიდაოდ მოიცალა კალომა! — გადასძახა მიხა პაპამ უფროს ვაჟს.

დატვირთული ლაფეტი საველე საწყობისაკენ მიგუგუნებს და დიდ სასწორზე დგება. მზემოკიდებული, წვერგაუპარსავი მწონავი საბოლოოდ აჯამებს დღის განმავლობაში ჩაბარებული სიმინდის წონას და ულვაშებში ეცინება.

— ტონაზე მეტი სიმინდი მოუწევს მიხა პაპას ჯილდო-ნამატის სახითა. აბა, ახლა თქვენი რიგია, — ეუბნება ბიჭებს.

— რა ქენი, აწონე? — გადმოსძახის მიხა პაპა უკან მიბრუნებულ ანდროს.

—ტონაზე მეტი გერგება ჯილდოთა, — უპასუხებს ანდრო.

— მე ბიჭებზე გეკითხები.

— ერთი წონითი კატეგორიაა ყველა, — გამოსძახა ბიჭებთან ერთად მომავალმა თედომ და ჩალაბულათი მოფენილ კალოზე შემოაბიჯა, — აბა, განი, ქალებო!

ჭიატა ყვავილებიან ბამბაზიის კაბებში გამოწყობილი მიხა პაპას რძლები კალოს პირას გამწკრივდნენ, წამოჩიტული გოგოები გვერდში ამოიყენეს და ახლა თებრო ბებოს გასძახეს, რა დროს ჭორაობაა, ქალო, ჭიდაობა იწყებაო.

ბიჭები იქვე მიყრილ ძველ ხალათებს იცვამენ, ქამრებს ირტყამენ ზემოდან და ჩოხასავით უკან იკრეფენ კალთებს. სიმინდის ულვაშს იწებებენ ზედა ტუჩზე და ნამდვილ ფალავნებს ემგვანებიან.

თეა დგება მათ შუა — თებრო ბებოს მოსახელე, თაფლისფერ თვალებს ეშმაკურად ჭუტავს და პირველ წყვილს უსახელებს მაყურებლებს:

— თქვენგან მარჯვნივ — ბელტიყლაპია! — აჩიკოს უწევს ხელს, მიხა პაპასავით რომ კბილები აკლია, — თქვენგან მარცხნივ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის მკვნეტელი! — ახლა მიშიკოს მისწვდება მაჯაში, — შენ დაუკა!

თედო ძია ვედროზე ურაკუნებს გრძელი კუწუნებით.

ბიჭებს შექება აღარ უნდათ, ყვინჩილებივით ძიძგილაობენ, მიხა პაპას ფუჩეჩის კონა უჩერდება ხელში.

— მისვლა არ უვარგა მიხაკოსა! — მიკერძოება არ დამწამონო, უწინ თავის მოსახელეს ტუქსავს პაპა, — გაბედულად მიდი, რისა გეშინია, წაიქცევი — დედამიწა ძირს დაგხვდება! — შენც გაიმართე წელში, არ-ჩილა ბოჩოლავ, რა თავი წაგიღუნია!.. აი, ეგრე! ჰა ყოჩაღ! მიდი, მიდი! არ მოეშვა! ჩემი ლომი ის იქნება, ვინც ლამაზად იჭიდავებს!

თეკო პირველი წყვილის გაშველებას არც ფიქრობს, მეორე წყვილი შემოჰყავს წრეში.

— თქვენგან მარჯვნივ — მთის მომგლეჯი! — სანდრიკოს უწევს ხელს, — მარცხნივ — ამკლები ბარისაი! — გოგლიკოს ეჯაჯგურება.

— ნუ იფაფხები!.. სარმა მაგას, სარმა! ყოჩაღ!.. გაუბედე! გაუბედე! — აქეზებს მაღლიდან პაპა, — ამათ ცქერაში კი არ დაგვიღამდეს და!

ანდრო და თედო მოჭიდავეებს აშველებენ.

— ოთხივენი კაი ბიჭები არიან! — აცხადებს პაპა და მუშაობას განაგრძობს. ჭიდაობის ეშხში მოსული ბიჭები ახლა მოლზე გაფენილ კონებს შეესევიან, იკიდებენ და ზვინისაკენ ეზიდებიან.

ახლა თედო და ანდროც აწოდებენ კონებს, ზვინი თანდათან მაღლდება და მიხა პაპაც ცისკენ მიიწევს. ბინდდება.

— ჰა, ყოჩაღ ბიჭებსა, კლდის მომგლეჯებსა და ბელტიყლაპიებსა!.. არ უყურებთ, როგორ აბურთავებენ კონებსა! — იძახის პაპა და თანდათან შორიდან მოისმის მისი ხმა.

გრძელმკლავება ომია მთელი ძალით ისვრის მაღლა ორთითზე წამოგებულ კონებს და ძლივსღა აწვდენს პაპამდე.

— ერთი ხუთი კონაც შემააგდეთ და მოვუდგამ თავს! — ხვნეშით იძახის პაპა და უკვე ამთავრებს ზვინს.

მერე ანდრო და თედო ხმელ სარებს ისვრიან მაღლა, პაპა იჭერს და ზვინის თავზე ასობს, ფუჩეჩი ქარმა არ აშალოსო.

— პაპილო, ახლა როგორღა უნდა ჩამოხვიდე! — უკბილო პირს შოშიის ბარტყივით აღებს სანდრიკო.

— უნდა ვიჯდე ასე, სანამ ფრთები არ ამომივა, — გადმოსძახა პაპამ.

— რაკი ამდენი დრო გაქვს, ის მაინც გვითხარი, რომელია შენი ფალავანი! — ასძახა თეკომ და გადაიკისკისა.

ამასობაში გვარიანად ჩამობინდდა და ბადრი მთვარე თავს წამოადგა პაპას.

ანდრო ძიამ საიდანღაც თეთრი საბელი მოიტანა, ბავშვები ვერ მიხვდნენ, რისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯინჯოლია

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ბინდდება. წყდება ჩიტების ყრიამული. ცაცუნა ბეღურები წისქვილის სხვენისკენ მიფრთხიალებენ, ჭრელი სკვინჩები სურნელოვანი დაფნის შრიალში თვლემენ.

ჭინ, ჭინ, — გაგულისებით გაიძახის ჭინ-ჭრაქა, ღობე-ღობე ხტის დატყუპებული ფეხებით; ზღვისპირას ნაპოვნი მარჯნის კენჭივით ლამაზია, ციცქნა ოწინარივით ირწევა, თითქოს ბრაზობს კიდეც, ვიღაცას უწყრება, ვიღაცას არიგებს — ღამე ძილისა�ა, ნუღა დაეხეტებითო.

სუროს თბილ ფოთლებს შეხიზვნიან შოშიები და შაშვები.

გულყვითელა მოლაღური ლეღვის კენწეროზე ქანაობს, სადმე უფრო მყარ ადგილას უნდა გადავინაცვლო, „ბიჭო გოგიას“ დილამდე აღარ გაგაგონებთო, ეჩურჩულება ნიავს.

გაყუჩებულან ფრთებმოლიანდაგებული ჩხიკვები და თეთრი ნარჩიტები. აივნის ჭერქვეშ დუმან მკერდქათქათა მერცხლები.

ნანა, მანანა, თეონა, ირაკლი და ირროდიონი ცისფერ ეკრანს მისხდომიან.

ამათთან რა მინდაო, მე მეძინა საღამომდე, ესენი გარეთ იყვნენ, სად არ დანავარდობდნენ, — ფიქრობს ბიჭი ბანჩა და სახლის კიბეზე ბრაგაბრუგით ეშვება, გორგოლაჭებაჭრიალებულ მერანს აღვირდამოკლებით თავქვეზე მიარიხინებს, ხან ერთ კედელს მიახეთქებს, ხანაც — მეორეს. ეზოში ჩასული ქოხის კარს შეუნგრევს ტურიას.

— ამ, ამ, — უყეფს გაცეცხლებული ტურია ბიჭს, — შენ რა ღამურასებრ გამოვარდებიო შეღამებულზე სათარეშოდ, ჩემი აბუჩად აგდება დღისითაც ვერავის გაუბედნიაო, იქნებ იმიტომ, მარტო შენ რომ მყავხარო პატივში...

მოგვიანებით ჩუმდება ტურია, ირგვლივაც სიჩუმეა, ტკბილი ძილის დროა, ბანჩა კი არ ისვენებს, დაფნის შტოს აფორიაქებს, შურდულიდან გასროლილ ქვას აქეთ ლეღვს მიახეთქებს, იქით — სუროართხმულ მურყნებს.

ფართხალებენ სკვინჩები, შაშვები, გაკვირვებასაა მოლაღური, ეგ სად გაგვიკეთებიაო ბინა, —სწუხან მერცხლები და ნარჩიტები.

უკვე მთვარეც მიბრძანდება. მხოლოდ ბიჭი ბანჩა ეჭე, როდისღა არახუნდება შინ ქშენითა და გორგოლაჭების მსხვრევით. შუაღამეგადასულზე თუ ინებებს!..

დილით კი კეთილი, ცნობისმოყვარე ტურია მის კართან აიტუზება, ნეტა რასა იქსო ჩვენი ღამურა-ბიჭი. დაუყეფს გულდაწყვეტით, მორიდებით, ხმადაბლა — ადექიო, ღამურა-ბიჭო, ნანა და მანანა სკოლაში ნავიდნენო, თეონა, ირაკლი და ირროდიონი ბაღში მიდიანო, შენ რად გამოეთიშე ყველასო.

— თავი მისკდება, რატომ არ გესმის? — ტუქსავს დაუპატიჟებელ მაღვიძარას ბიჭი და გვერდს იცვლის.

ტურია მაინც არ იშლის თავისას, უყეფს და უყეფს ღამურა-ბიჭს, — როგორ თუ არ მესმის... დღე ძილი, ღამე წრიალი, მე რომ ტურია-ტურიკელა ვარ, კეფას მიხეთქავს ტკივილით და აბა, შენ, ბანჩას რაღას გიზამსო!

შემდეგ საბანზე ექაჩება ღამურა-ბიჭს. როგორ იქნება, სულ ვეღარაფერს მიმიხვდესო, და მოთმინებით შესცქერის თვალებში... მართლაც რომ დიდი მოთმინება აქვს სიყვარულს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცინო ჯაფარიძე

ნისლის ფარდა

ქალაქს მთები ერტყა ირგვლივ. მოღრუბლულში მთებს გაუმჭვირვალ ფარდად ეფარებოდა ნისლი და გეგონებოდათ მთელი ქალაქი ფარდებით არისო გამოყოფილი მთებისაგან. აი, სწორედ ასეთ დროს უცნაური ამბები ხდებოდა... თუმცა ჯობს თავიდან დავიწყოთ.

ღრუბლიანი ამინდი იყო. მთებზე თეთრი, გაუმჭვირვალი ფარდები იყო ჩამოფარებული, ხალხი სამსახურში გარბოდა, ზოგი ქვევით, ზოგი ზევით. ხვდებოდნენ ერთმანეთს მოღუშულები, ესალმებოდნენ, სცილდებოდნენ. ამ დროს ერთი მთიდან ბიჭუნას წკრიალა ხმა გაისმა:

— ქალაქში მოღუშული ხალხი მომრავლდა...

დაფეთდა ხალხი, დაიწყეს ძებნა, ვინ იყო, ვინ ლაპარაკობდაო. ერთი ცისფერთვალა გოგონა ამტკიცებდა:

— ჩემი თვალით ვნახე, აი, იმ მთის ფარდა გაიწია, ქერა, გრუზათმიანი ბიჭი გამოვიდა, დაილაპარაკა და ისევ უკან შევიდაო. გოგონას სიტყვები არავინ დაიჯერა. ბიჭის სიტყვებზე კი ჩაფიქრდნენ — დააკვირდნენ ქალაქის მცხოვრებლებს და მართლაც ყველა მოღუშული დადიოდა, ცხვირჩამოშვებული. ზრდილობისათვის ამბობდნენ გამარჯობას, ან იმასაც არ ამბობდნენ, ყველას სათითაოდ სტანჯავდა სიმარტოვის განცდა, მაგრამ ერთმანეთთან მაინც არ მიდიოდნენ.

მეორე, მესამე, მეოთხე დღესაც და ყოველ ღრუბლიან დღეს იგივე მეორდებოდა — იხსნებოდა მთებზე ჩამოფარებული ფარდა და ისმოდა ბიჭუნას წკრიალა ხმა:

— ქალაქში მოღუშული ხალხი მომრავლდა...

ბოლოს შეეჩვია ხალხი ამ ხმას და არაფრადაც აღარ აგდებდა — ისევ ისე მოღუშული გარბოდნენ ადამიანები სამსახურში, ისევ ისე მოღუშული ლაპარაკობდნენ, ისევ ისე მოღუშული ცხოვრობდნენ. მხოლოდ იმ ცისფერთვალა გოგონამ დაკარგა მოსვენება და ერთხელაც ღრუბლიან ამინდში გზას დაადგა. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთი მთის ძირში მივიდა, ფარდა გადასწია და შევიდა. ის მთა მთლად ცისფერი იყო და გადააბიჯა თუ არა ფარდის იქით, საოცარი სიმსუბუქე იგძნო, თითქოს დაფრენდა.

— ბიჭუნა, მე შენთან მოვედი, სად ხარ?

ტოტზე ცისფერი შაშვი შეფრთხიალდა, თვალმოუშორებლად მიაჩერდა გოგონას. და გაისმა ვიღაცის ხმა:

— წაჰყევ ცისფერ შაშვს!

აფრინდა შაშვი და თითქოს გოგონასაც ფრთები გამოესხა. ფრენით გაჰყვა. ერთი ცისფერი კოშკის წინ შეჩერდნენ. შაშვმა მოკლე გალობა ჩაარაკრაკა და კოშკის კარი ფართოდ გაიღო. ქერა, გრუზათმიანი ბიჭი შემოეგება გოგონას — რაზე შეწუხებულხარო? — ჰკითხა.

— ძალიან დიდი საქმე მაქვს, — დაიწყო გოგონამ და უამბო, როგორ ისმენენ ქალაქში ბიჭის ხმას და მაინც არ ცდილობენ გაღიმებას. მეც დაგეხმარებიო, შესთავაზა ბოლოს.

— კი მაგრამ რა გავაკეთოთ? — ჰკითხა ბიჭმა.

— კონცერტები გავმართოთ ყოველ დილით, იქნებ შუბლები დაეხსნას ხალხსო.

— არა, — იუარა ბიჭუნამ, — კონცერტებს არავინ მოუსმენს. წადი ქალაქში და მე ვიცი, რასაც ვიზამო.

დაბრუნდა გოგონა ქალაქში. მეორე დილით კვლავ გაიხსნა ნისლის ფარდა და კვლავ გაისმა ბიჭუნას წკრიალა ხმა:

— ქალაქში ერთით ნაკლები მოღუშულია...

ახლა იმას აღარ გიამბობთ, ამ სიტყვებს რა მოჰყვა. გეტყვით მხოლოდ, რომ ჯერ ერთი ბიჭი დაინტერესდა, ნეტა რა ხდება და ვინ ლაპარაკობს იმ ფარდის უკანო. ადგა და წავიდა, ნახა ბიჭუნა და ქალაქში დაბრუნდა. ბოლოს მთელი ქალაქი გაიხიზნა იმ ბიჭუნას სანახავად.

და აი, ამის შემდეგ ერთხელ ისევ გაისმა ბიჭუნას ხმა:

— ქალაქში მხოლოდ კეთილი ხალხი ცხოვრობსო...

ყველა იცინოდა, ყველას უხაროდა ერთმანეთის ნახვა, ერთმანეთთან შეხვედრა. ქალაქში კი იმ ბიჭუნას ხმის მაგივრად შაშვების ჭახჭახი ისმოდა, შავი კი არა, ცისფერი შაშვების... და ბიჭებიც შურდულებით აღარ დასდევდნენ იმ შაშვებს.

17104

მხატვარი ედ. ამბოკაძე

რა გქვია შენ?

მერაბი—მზესავით ელვარე.
მირზა—უფლისწული, ბატონიშვილი.
მირიანი—მზისა.
მიხეილ—ღვთაებრივი.
მოსე—წყლიდან ამოყვანილი, გადარჩენილი.
ნესტორ—შინ (სამშობლოში) დაბრუნებული.
ნიკოლოზ, ნიკა—ხალხის გამარჯვება.
ნოდარ, ნუგზარ—ახალმოსული.
ნოე—ნუგეში.
ოთარ, ოტია—სურნელოვანი (ნელსაცხებელი, წამალი).
ოლეგ—წმინდა.
ომარ—სიცოცხლე.
ონისე—სარგებლობა.
პაატა—პატარა, უმცროსი.
პავლე—პატარა, მცირე.
პაპუნა—პაპისა.
პეტრე—კლდე.
პლატონ—მხრებგანიერი.
პოლიკარპე — უხვნაყოფიანი.
რატი—ბატონი, პატრონი.
რაფიელ — განკურნებული.
რევაზ—კმაყოფილი.
როინ—რვალისა, სპილენძისა.

ზურაბ ჭუმბურიძე

სვეტები



კროსვორდი

1. საოჯახო ნივთი.
2. მცენარის ტანზე განვითარებული წვეტიანი გამონაზარდი.
3. გამარჯვებული, მჯობნი, ანუ?
4. ქართული ანბანის პირველი ასო.
5. იალქნის საყრდენი.
6. სოფელი თბილისის მახლობლად.



მოეხმარე ამ გოგონას ლაბირინთიდან გამოსვლაში.



როგორ ფიქრობ, ანკესის ამოსაწევად მარჯვნივ უნდა დაატრიალო ეს სახელურებიანი ბორბალი თუ მარცხნივ?





გვეწვია ილუზიონისტი

ორი ვაზაა თანაბარია ეს წრეები? ტოლია ეს ორი ხაზი? ეცადე ამოიცნო, მიხვიდეს ხაზი სად ეყრდნობა ეს ორი ფერადი ფანქარი?





პირველი თაიგული

— ბაღნარი რომ გაუშენო,
რას დარგავდი, ჩემო ია?
— იასამნს, ვიზაკს, ზამბახს,
ეინძელას და ტიხეერ იას.

სტუმარი მაპრანელი

— ვის მიუძღვნი ამ ბაღიდან
პირველ ყვავილს, ჯოხტა კონას?
— სულ პირველად დავუკრეფდი
ჩემს საყვარელ . . . . . .

საქართველოს ალკეთ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეუროანალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის ფა-ე წელი

სახ. კომ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

რედაქტორის მაგიერ ზურაბ ლეშკასელი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურგანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაკვალა მრევლიშვილი, ზურაბ ნადირაძე, ბიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ბივი ანლაძე, მანანა ხარიძე, ბივი ჰიბინაძე

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მზ. მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 12/V-82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI-82 წ., ქაღალდის ზომა 6 ×90, ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2,5, ტირაჟი 168.000. შეკვ. № 1931. „Дила“ № 7. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, 14. цена 20 к.

6 132/122

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76055

რა ლამაზი დღეა

ზ ი ვ ი ძ ნ ე ლ ა ძ ე

რა ლამაზი მზეა!
რა ლამაზი მზეა!
მივესალმოთ, ჩამოვართვათ ხელი;
ყველაფერი ბრწყინავს,
ყველაფერი ელავს,
ყველაფერი სიხარულით მღერის!..
აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა.
შენი მტრედი შეხვედრია გზაში...
გადაფრინდი ჩემო მტრედო,
სიტყვა უთხარ საიმედო,
თუ სადმეა მოწყენილი ბავშვი!..
რა ლამაზი დღეა!
რა ლამაზი დღეა!—
ოქროს წყალში ღიმღიმებენ ხენი;
ყური უგდეთ, ყური—
პაწაწინა გუნი
საცინოს და სამშვიდობოს მღერის!..
აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა,
შენი მტრედი შეხვედრია გზაში...
იფართქალე თეთრო მტრედო,
გაახარე ჩვენი ერდო,
ილულუნე ავდარში და დარში!..